




აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა



2016 weli
Tbilisi

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- **2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა სიდიდის მიხედვით**



2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2015-2016 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის
- 11-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 4 -მა ოქროს, ხოლო 7-მა ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2015-2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის თამარ ხატისაშვილმა აგრარულ უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.
- 2015-2016 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის გვანცა მელითაურმა სან-დიეგოს უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.
- მარიამ იმერლიშვილი საგრანტო ქულებით თსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პირველ ადგილზეა და მთელ უნივერსიტეტში რეიტინგით მეორე ადგილზეა.

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- დავით ბეჟანიშვილი ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩაირიცხა თავისუფალ უნივერსიტეტში კომპიუტერული მეცნიერებების და მათემატიკის ფაკულტეტზე (საქართველოს ნაკრების წევრი მათემატიკაში).
- რატი პერტია საკონკურსო ქულებით თავისუფალ უნივერსიტეტში პირველ ადგილზეა.
- გიორგი ბალიაშვილი სან-დიეგოს უნივერსიტეტის ათეულში არის საკონკურსო ქულებით.
- გრიგოლ ამანათიშვილი საკონკურსო ქულებით თსუ-ში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტზე რეიტინგით პირველ ადგილზეა.
- ჯანდიერი ანა სამხატვრო აკადემიაში საგრანტო ქულებით პირველ ადგილზე .

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა წარმატებები

წარჩინებული მოსწავლეები ლეპტოპებით დასაჩუქრდნენ

2015 წლის ნოემბერში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ქალაქ თბილისის მერმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ თბილისის საჯარო სკოლების 356 მეათეკლასელს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. ჩვენი სკოლიდან პერსონალური კომპიუტერი შემდეგ ექვს მოსწავლეს გადაეცა:



მარიამ ძამუკაშვილი, თათია ჩაფიძე, ანა ციმაკურიძე, ანასტასია იოსებაძე, თეკლე თათარიშვილი, ტატო კაციტაძე. ამ მოსწავლეებმა საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარმატებით დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი გახლავთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.

ფიზიკოსთა ეროვნული ტურნირის გამარჯვებული მოსწავლეები

2016 წლის 2-3 აპრილს, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა ახალგაზრდა ფიზიკოსთა ეროვნული ტურნირი. ტურნირში მონაწილეობდნენ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის



№199 საჯარო სკოლის 4 გუნდი, ნიუტონის სკოლისა და აკადემიკოს ი. ვეკუას სახ. ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის გუნდები. ტურნირში გამარჯვება მოიპოვა ჩვენი (ვეკუას) სკოლის გუნდმა. ვულოცავთ ამ დიდ და მნიშვნელოვან გამარჯვებას გუნდის წევრებს: გიორგი ხომერიკს, გიგა ხიზანიშვილს, სოფია ფირცხალავას, დავით ქავთარაძეს და გუნდის ხელმძღვანელს გიორგი ბახტაძეს.

მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

ჟაუტიკოვის სახელობის საერთაშორისო ოლიმპიადა



2016 წლის 13-19 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა ჟაუტიკოვის სახელობის XII საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. ოლიმპიადაში 20-მდე ქვეყნის მოსწავლე მონაწილეობდა, მათ შორის ტრადიციულად აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეებიც

იღებდნენ მონაწილეობას. ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე. მეთორმეტეკლასელმა გიორგი ხომერიკმა ფიზიკაში, ხოლო მეთერთმეტეკლასელმა დავით თათოშვილმა მათემატიკაში ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს მათემატიკაში დავით ბეჟანიშვილმა (XII კლასი) და ირაკლი შალიბაშვილმა (XI კლასი).



მოსწავლეთა მორიგი საერთაშორისო წარმატება ოქროს მედლები ირანიდან

2016 წლის 16-21 ივნისს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდი ახალგაზრდა ნატურალისტთა საერთაშორისო ტურნირის ოქროს მედლების მფლობელი გახდა!!!

ტურნირი ირანის ქალაქ შირაზში ჩატარდა. 2015 წელს და ასევე 2014-ში ასეთივე ტურნირებზე ჩვენმა მოსწავლეებმა ოქროს მედლები მოიპოვეს.

საქართველოს გუნდის წევრები არიან : ზურაბ ჯაში(გუნდის კაპიტანი, აკად. ი. ვეკუას სახელობის



ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლა), თეკლე დოლიძე (ვლადიმერ კომაროვის სახელობის ფიზიკა მათემატიკის თბილისის 199-ე საჯარო სკოლა), გვანცა მარგველაშვილი, მარიამ ლომთაძე (ორივე ა. რაზმაძის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. ქუთაისის 41-ე საჯარო სკოლა), ლაშა თარგამაძე (ვლადიმერ კომაროვის სახელობის ფიზიკა მათემატიკის თბილისის 199-ე საჯარო სკოლა) და გუნდის ყველაზე უმცროსი წევრი ლაზარე ოსმანოვი (აკად. ი. ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ. თბილისის 42-ე საჯარო სკოლა).

ჩვენი სკოლის მოსწავლეები მათემატიკისა და ბიოლოგიის 2016 წლის საერთაშორისო ოლიმპიადაზე გაემგზავრნენ

წელს მათემატიკის 57-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IMO 2016) საქართველოს ნაკრებს 6-კაციანმა ჯგუფმა წარადგინა, აქედან ორი დავით ბუქანიშვილი (XII კლასი) და დავით თათოშვილი (XI კლასი) აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის #42 საჯარო სკოლის მოსწავლეა.

ეს მოსწავლეები ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საპრიზო ადგილების

მფლობელები არიან და მათთვის საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობის მისაღებად სპეციალურად გაიმართა შესარჩევი ტურები.

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ჩინეთში, ქალაქ ჰონგ-კონგში ჩატარდა.

ასევე ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე ელენე ნიკოლაიშვილი გაემგზავრა ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში.



2015-2016 სასწავლო წელს ჩვენი სკოლის მოსწავლეები მიღწეული წარმატებებისთვის საზღვარგარეთ გაემგზავრნენ

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურში გადასული მოსწავლეები ბაქსვუდის საზაფხულო სკოლაში იმყოფებოდნენ, ჩვენი სკოლის წარმატებული მოსწავლეები განათლების და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით გაემგზავნენ დიდ ბრიტანეთში სასწავლო კურსზე. ეს მოსწავლეები არიან:

- ეკა ფანცულაია (X კლასი)
- გიორგი კალანდაძე (XI კლასი)
- გიგა ხიზანიშვილი (XI კლასი)

XI კლასის მოსწავლეები: ზურაბ ჯაში და თამარ პეპანიშვილი ბაქსვუდის სამეცნიერო ბანაკიდან პოლონეთში მიემგზავრებიან.

XI და XII კლასის მოსწავლეები: ბექა აბულაძე და დავით თათოშვილი მიემგზავრებიან შვეიცარიაში-ცერნის სამეცნიერო ცენტრის დასათვალისწინებლად.

საქართველოს ნაკრების წევრები მათემატიკაში: დავით თათოშვილი და დავით ბეჟანიშვილი იყვნენ მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ჩინეთში, ქალაქ ჰონგ-კონგში.

ასევე ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე: ელენე ნიკოლაიშვილი იმყოფებოდა ბიოლოგიის საერთაშორისო ოლიმპიადაზე ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში.


2015-2016 სასწავლო წელს ჩვენი სკოლის მოსწავლეები მიღწეული წარმატებებისთვის საზღვარგარეთ გაემგზავრნენ

- 2016 წლის 7 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებული სატელევიზიო პროექტის „წიგნების თაროს“ გამარჯვებული ჩვენი სკოლის სამი მოსწავლე: ანასტასია კვინიკაძე, თამარ მესხია და ქეთევან არაბული გაემგზავრნენ დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯის საზაფხულო სკოლის ენის შემსწავლელ კურსებზე.
- პრეზიდენტის ინიცირებულ კონკურსში „მე და კონსტიტუცია“ საქართველოს მაშტაბით სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა.
I ადგილზე აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. გუნდს სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაკა ბიბილეიშვილი ხელმძღვანელობდა. ისინი ივნისის თვეში სტრასბურგსა და პარიზში გაემგზავრნენ.
- ჩვენი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლე რატი პერტია სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის მესამე ტურის გამარჯვებულია და ის ლონდონში იმყოფებოდა ენის კურსებზე.

გიორგი ხომერიკის ნაშრომი

ჩვენი სკოლის წლევანდელი კურსდამთავრებულის, გიორგი ხომერიკის ნაშრომი ფიზიკაში „**Parametric resonance induced chaos in magnetic damped driven pendulum**“ ჟურნალში „**Physics Letters A**“ გამოქვეყნდა.

ეს ინფორმაცია ორმაგად სასიხარულოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ გიორგიმ სტატია ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის დროს დაწერა და საქართველოში პირველი სკოლის მოსწავლე გახდა, რომლის ნაშრომიც მსოფლიოს ერთ-ერთ მაღალტირრაჟიან სამეცნიერო ჟურნალში დაიბეჭდა.



მე-12 კლასის მოსწავლე რატი პერტია თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული „თავისუფალი აზროვნების“ კონკურსის გამარჯვებულია

ჩვენი სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე რატი პერტიამ „თავისუფალი აზროვნების“ კონკურსში III ადგილი მოიპოვა. მას 1000 ლარიანი სასწავლო გრანტი გადაეცა, რომლის გამოყენებასაც თავისუფალ უნივერსიტეტში ჩარიცხვისას შეძლებს. ვაუჩერი დააფინანსებს თავისუფალი უნივერსიტეტის ნებისმიერ სკოლაში სწავლას რვა სემესტრის განმავლობაში. სერტიფიკატი გადაეცა სკოლასაც მისი მოსწავლის მიერ მიღწეული წარმატებისათვის.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების, თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლის სტუდენტების არნახული შედეგი!

ჩვენი სკოლის სამი
კურსდამთავრებული გურამ
ქართველიშვილი, საბა შარიქიძე
და თორნიკე ლუტიშვილი
თავისუფალი უნივერსიტეტის
ფიზიკის სკოლის სტუდენტები
არიან. სამივე მათგანმა ამერიკის
წამყვანი უნივერსიტეტების



მაგისტრატურა-დოქტორატურის პროგრამებზე მოსახვედრად GRE-ში შესანიშნავი
შედეგები აჩვენეს. ფიზიკაში მაქსიმალური ქულა 990-ია, თუმცა, აღიარებული ფაქტია,
რომ 900 ქულიანი ზღვარის გადალახვა ურთულესი ამოცანაა. ამის მიუხედავად, სამივემ
შესანიშნავად გაართვა ამ ამოცანას თავი. თორნიკე - 990! საბა - 970! გურამი - 920!
თორნიკე, თავისი მაქსიმალური ქულით მსოფლიოს მასშტაბით იმ საუკეთესო 5%-ში
მოხვდა, ვინც ეს საგანი ჩააბარა. ასეთი შედეგი საქართველოს ისტორიაში პირველია.
აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლა ამაცობს
ამ შესანიშნავი ახალგაზრდებით და ულოცავს მათ ამ უდიდეს წარმატებას!

ინტელექტ-ჩემპიონატის “ეტალონი-თბილისი” გამარჯვებული მოსწავლეები

ჩვენი სკოლის მოსწავლეები საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი “ეტალონი-თბილისი”. ფინალში მონაწილეობდნენ და მოსწავლეებმა: ირაკლი გეტაშვილმა, დავით თათოშვილმა, გიგა ხიზანიშვილმა, ლუკა ხიზანიშვილმა, შალვა გიორგობიანმა, ზურაბ ჯაშმა, ლევან ჭიკაიძემ, სოსო ჩაჩანიძემ, ანასტასია კვინიკაძემ და თამთა თოფურიამ ღირსეული მე-2 ადგილი მოიპოვეს..



გამრჯვებული მოსწავლეები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა და თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დააჯილდოვეს.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის გუნდი სატელევიზიო პროექტ „წიგნების თაროს“ გამარჯვებულია

2016 წლის 7 მაისს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ ორგანიზებული სატელევიზიო პროექტის „წიგნების თაროს“ ფინალი გაიმართა. ტელეთამაში საქართველოს მასშტაბით მიმდინარეობდა ჩვენი სკოლის სამმა მოსწავლემ: თამარ მესხიამ, ქეთევან არაბულმა და ანასტასია კვინიკაძემ ფინალში ღირსეული გამარჯვება მოიპოვეს. ყველაზე აზარტული და დამაბული ლიტერატურული შოუს „წიგნების თაროს“ თემატიკას მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს და შესაბამისად, გამარჯვებისთვის მთავარი წიგნიერება, გონების სისწრაფე და ლიტერატურის სიყვარულია. გამარჯვებული მოსწავლეები 2 კვირით დიდი ბრიტანეთის, კემბრიჯის, საზაფხულო სკოლაში გაემგზავრნენ.



აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტში „მე და კონსტიტუცია“ საქართველოს მასშტაბით I ადგილი დაიკავეს

პროექტი „მე და კონსტიტუცია“ საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და ორგანიზაცია „დემოკრატიის ლაბორატორიის“ ორგანიზებით ჩატარდა. პროექტი ახალგაზრდებში საქართველოს კონსტიტუციის პოპულარიზაციას ისახავდა მიზნად. კონკურსის ფინალურ ტური 2016 წლის 7-8 მაისს გაიმართა, რომელშიც საქართველოს რეგიონების საჯარო სკოლების 12 გუნდი მონაწილეობდა.



მოსწავლეები ერთმანეთს საქართველოს კონსტიტუციის ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. კონკურსში „მე და კონსტიტუცია“ სამი გამარჯვებული გუნდი გამოვლინდა. I ადგილზე აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლის გუნდი გავიდა. გუნდს სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი მაკა ბიბილეიშვილი ხელმძღვანელობდა. ისინი ივნისის თვეში სტრასბურგსა და პარიზში იმყოფებოდნენ.

ჩვენი სკოლის ახლადარჩეულმა მოსწავლეთა თვითმმართველობამ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა.

მოსწავლეთა თვითმმართველობამ 2015 წლის ბოლოდან 2016 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით, მერიის ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა პროექტი „ერთად ვქმნით ძალადობისაგან თავისუფალ სკოლას“, რომელშიც 42-ე საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ გაიმარჯვა. პროექტის მიზანი გახლდათ ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა.



ჩვენი სკოლის მერვე კლასის მოსწავლე ნუცა ბაგაშვილი „დღიურების“ კონკურსის გამარჯვებულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში გამოაცხადა „დღიურების“ კონკურსი, რომელშიც საქართველოს მასშტაბით ყველა სკოლას შეეძლო მანაწილეობის მიღება. კონკურსის პირობების მიხედვით, თითოეული სკოლიდან შესაძლებელი იყო სამი ნაშრომის გაგზავნა. ჩვენი სკოლის მერვე კლასის მოსწავლე ნუცა ბაგაშვილი (პედაგოგი: ნ. ნასყიდაშვილი) „დღიურების“ კონკურსის გამარჯვებული



გახდა, მისმა ნაშრომმა ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა და პირველი ადგილი მიიპოვა. კონკურსის მიზანი გახლდათ ძალადობის პრევენციის მიზნით მოზარდებში ერთმანეთისადმი თანადგომა, პრობლემის გაზიარება და მხარდაჭერა

აკადემიკოს ილია ვეკუას დაბადებიდან 109-ე წლისთავი სკოლაში სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენციით აღინიშნა

2016 წლის 6 მაისს სკოლაში ილია ვეკუას დაბადებიდან 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-შემოქმედებითი კონფერენცია ჩატარდა. ღონისძიებაზე მოსწავლეებმა წარმოადგინეს საკონფერენციო თემები ფიზიკაში, მათემატიკასა და ბიოლოგიაში და ასევე სხვადასხვა სამეცნიერო ექსპერიმენტების დემონსტრირებაც მოახდინეს. კონფერენციაზე საპატიო სტუმრად მოიწვიეს ილია ვეკუას შვილიშვილი, ფიზიკა-მათემატიკის



მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია თავხელიძე. კონფერენციას ესწრებოდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ზურაბ თავართქილაძე და ანდრია როგავა, რომლებმაც საინტერესო მოხსენება წაიკითხეს.

მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საჯარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მასპინძლობს

სკოლამ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა

სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი საქართველოში კენ უოლში, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯენერ ედელმანი და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის უმაღლესი და პროფესიული განათლების პროექტის დირექტორი ნოდარ სურგულაძე. სტუმრები ტექნოლოგიური და

საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებულ მე-12 კლასელებს შეხვდნენ. მათ მოსწავლეებს SDSU-ს საქართველოს პროგრამის შესახებ ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინეს. ისაუბრეს უნივერსიტეტში STEM განათლების მნიშვნელობაზე, საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხვის კრიტერიუმების, სასწავლო პროგრამებისა და სტიპენდიების შესახებ.



დედაენის დღესთან დაკავშირებით სკოლაში საინტერესო ღონისძიება გაიმართა

2016 წლის 14-15 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით სკოლაში საინტერესო ღონისძიებები გაიმართა. მოსწავლეებმა წარმოადგინეს პროექტის დასკვნითი ნაწილი, რომელიც მათი ინიციატივითა და ორგანიზებით შეიქმნა. მათ ამჯერად არჩევანი ქართულ პოეზიაზე შეაჩერეს და დამსწრე საზოგადოებას ხალხური ზეპირსიტყვიერების მრავალფეროვნება



და სიღრმე საინტერესოდ და სახალისოდ წარმოუდგინეს. მოსწავლეებმა ქართული ენის მასწავლებლის, ნინო ნასყიდაშვილის თაოსნობითა და ორგანიზებით მოიძიეს მასალები, დაწერეს თხზულებები, მოაწყვეს პრეზენტაციები და მთელი ეს ცოდნა ერთ საინტერესო ამბად აქციეს და დამსწრე საზოგადოებას მინისპექტაკლი „წუთისოფელი ასეა“ წარუდგინეს.

XI-1 კლასის მოსწავლეებმა ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედება ორიგინალური სპექტაკლით გააცოცხლეს



2015 წლის 4 დეკემბერს ჩვენი სკოლის XI-1 კლასის მოსწავლეებმა (პედაგოგი: ნ. მეხრიშვილი), ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების დღესთან დაკავშირებით ორიგინალური, კოსტიუმირებული სპექტაკლი წარმოადგინეს. მოსწავლეებმა საინტერესოდ წარმოაჩინეს შეთქმულებაში ალექსანდრე ჭავჭავაძისა და მისი ოჯახის როლი, შამილისა და გრიგოლის

ურთიერთობა, ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდიანი სიყვარულის ისტორია. მოსწავლეებმა ორიგინალურად და რაც მათავარია, საკითხის ძირფესვიანი განხილვით გვიჩვენეს თავიანთი ხედვა.

წარმატებულ პედაგოგებს მადლობის სიგელები გადაეცათ

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ 2015 სასწავლო წლის ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში მოსწავლეების წარმატებული მონაწილეობისათვის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის # 42 საჯარო სკოლის პედაგოგები მადლობის სიგელებით დააჯილდოვა.



2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სტანდარტზედა მომსახურება

სკოლაში მოსწავლეთათვის წარმატებით ხორციელდება შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- **logikis damatebiTi kursi**
- **menejmenti**
- **Jurnalistika (I –II nawili)**
- **programireba (I –II nawili)**
- **buRalteriis sabazo kursi**
- **konfliqtebis marTva da molaparakebebis xelovneba**
- **eleqtruli kvanZebi da qselebi**
- **oratoruli xelovneba**
- **werisa da metyvelebis kultura**
- **msoflio literatura antikuridam dRemde**
- **evropuli moqalaqeoba/gza evropisken**

სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

2016 წლის 3 ივნისს სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებმა გამოფენაზე ევროპული სახელმწიფოების კულტურა, ტრადიციები და ღირებულებები წარმოადგინეს. უფროსკლასელებმა მოწვეულ სტუმრებს იმ გზის შესახებაც უამბეს, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გაიარეს.



საუკეთესო სტენდების ავტორებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ დაწესებული სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ. აღნიშნული კონკურსი უკვე მეორედ განხორციელდა. „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობის“ მონაწილეებს სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების განხორციელების საშუალებაც მიეცათ. პროექტი მიზნად ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას ისახავდა.

სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

ევროპული მოქალაქეობა „ გზა ევროპისკენ“ პროგრამის ფარგლებში სკოლის მოსწავლეები პანკისის ხეობაში იმყოფებოდნენ

მოსწავლეების მიერ განხორციელებული სასკოლო პროექტი მიზნად ისახავდა პანკისელ და თბილისელ ახალგაზრდებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას. შეხვედრის მხარდამჭერი იყო კახეთის რეგიონალური განვითარების ფონდი.



სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სკოლამ საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს იოჰანეს დოურმას უმასპინძლა

2016 წლის 19 აპრილს აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის № 42 საჯარო სკოლას მოსწავლეთა ინიციატივით ნიდერლანდების სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იოჰანეს დოურმა ეწვია. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ ბატონი ელჩის საქართველოში მოღვაწეობის განმავლობაში პირველად ესტუმრა საჯარო სკოლას. ის გაეცნო სკოლის მიღწევებს, მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ პროექტებსა და




ახალგაზრდული კლუბების საქმიანობას. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაიმართა. შეკითხვები ძირითადად ეხებოდა საქართველოსა და ჰოლანდიის ურთიერთობებს, საქართველოს ევროპულ მომავალ, ჰოლანდიის კულტურასა და ტრადიციებს, განათლების საკითხებს. შეხვედრის დასასრულს ელჩმა მოსწავლეებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა და სამახსოვრო ფოტოც გადაიღეს.

სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

ევროპის საბჭოს ვიდეოს „დაამარცხე ბულინგი“ პრეზენტაცია „ევროპის სახლში“

აკადემიკოს ილია ვეკუასსახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრების ინიციატივითა და ორგანიზებით გაიმართა პროექტის „ერთად ვქმნით ძალადობისგან თავისუფალ სკოლას“ წარდგენა და პრეზენტაცია. პრეზენტაციაზე მოეწყო ევროსაბჭოს ვიდეოს „დაამარცხე ბულინგი“, ჩვენება და მისი მოკლე მიმოხილვა.



აღნიშნული ვიდეოს ქართული ვერსია მომზადდა აკადემიკოსი. ვეკუასსახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქ.თბილისის N42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული პროექტის „ერთად ვქმნით ძალადობისგან თავისუფალ სკოლას“ ფარგლებში. პროექტის მიზანია ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ღონისძიებაზე ტრენინგის მონაწილე პედაგოგებსა და მოსწავლეებს სერტიფიკატები და სიგელები გადაეცათ. პროექტის მხარდამჭერია ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური.

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები ჩვენი ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა -მათემატიკის ქალაქ თბილისის
N42 საჯარო სკოლა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრია.
საერთაშორისო ასოციაციის წევრია ასევე
სკოლის ბიბლიოთეკარი – მედეა მოსიავა:




2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შეიძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი "Openbiblio".

საბიბლიოთეკო პროგრამა **Openbiblio** განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლექციებისათვის. მასში შესაძლებელია ნიიიი-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

2014-2015 სასწავლო წლის დასასრულისთვის პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები სიგელებით დაჯილდოვდნენ

2015 წლის 20 დეკემბერს სკოლის ბიბლიოთეკარმა მედია მოსიავამ რეიტინგის მიხედვით გამოავლინა სკოლის ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები. მოსწავლეები სკოლის ადმინისტრაციამ დიპლომებითა და სიგელებით დააჯილდოვა, პრველ სამეულს კი საჩუქრად წიგნები გადაეცათ.

აქტიური მკითხველების გამოვლენა სკოლაში ყოველწლიურად ხდება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას.



2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბების მიმართულებები

1

- ევროინტეგრაცია

2

- გაერო

3

- ნატო

4

- გარემოს დაცვა

5

- თანადგომა

6


- ჯანსაღი ცხოვრების წესი

2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები



მონაწილეობა ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) მიერ წარმართულ საერთაშორისო კონფერენციაში.

ვიზიტი სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში



ვიზიტი ბუდაპეშტის ახალგაზრდულ ცენტრში



2015-2016 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

PH international

სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა გადამზადების პროგრამაში-**PH International**-ი (დაფინანსებულია USAID-ის მიერ)

პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბმა

• მოიპოვა 2 გრანტი პროექტებისათვის ”წიგნიერება ქველმოქმედებისათვის” და „ხელი ხელს“ .

* მიიღო დაფინანსება მოსწავლეთა ინიციატივის განხორციელებისათვის „სემინარები ბლოგების შექმნისათვის“.

* კონკურსის გზით მოიპოვა ტექნიკის კომპლექტი: ლეპტოპი, პროექტორი, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსი, ვიდეო კამერა, ფოტოაპარატი, დიქტოფონი, ინტერნეტ კავშირის მოწყობილობა (მობილური ინტერნეტი), ფლემ მუხსიერება.

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის
ფიზიკა მათემატიკის #42 საჯარო
სკოლა

გმადლობთ ყურადღებისათვის!